საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საბიბლიოთეკო
სტანდარტების განყოფილება

# ელექტრონული რესურსების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა

(სახელმძღვანელო მასალა)

თბილისი 2012

025.321.5
ე 54

შემდგენელი: **ნ. ქავთარაძე**
რედაქტორი: **გ. თაყნიაშვილი**

ელექტრონული რესურსების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა: სახელმძღვანელო მასალა / შემდგ.: ნ. ქავთარაძე; რედ.: გ. თაყნიაშვილი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა . – თბ., 2011 . – 36 გვ.

წიგნის ელექტრონული ვერსია იხილეთ ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე www.nplg.gov.ge

ISBN 978-9941-0-3235-6

# შესავალი

თანამედროვე ეტაპზე ბიბლიოთეკებში თავს იყრის ინფორმაციის არატრადიციული მატარებლები, ე. წ. ელექტრონული მასალები. ესენია: კომპიუტერული დისკები, სლაიდები, ფირზე ჩაწერილი ფილმები, ხმოვანი ჩანაწერები (გრამფირფიტები), მაგნიტოფონური ჩანაწერები, დიაფილმები, აუდიოვიზუალური მასალების კომპლექტები და სხვ., რომელთა გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ კომპიუტერული ტექნიკის საშუალებით. ასეთი მასალების სისტემატიზაცია, ორგანიზებული დაცვა და საცნობარო აპარატის შედგენა აუცილებელია მათზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

ელექტრონული რესურსების აღწერილობის წესები ჩამოყალიბებულია საერთაშორისო სტანდარტებით. წინამდებარე ნაშრომში განხილულია ელექტრონული რესურსების სახეები, აღწერილობის ობიექტები, აღწერილობის სფეროები და ელემენტები. ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა რუსულ ენაზე არსებულ სტანდარტს „ГОСТ 7.82 – 2001 Библиографическая запись. Библиографическое описание электронных ресурсов", რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს ელექტრონული მასალების აღწერილობის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. ნაშრომი პოპულარული ენით განმარტავს ელექტრონული რესურსების აღწერილობის ცალკეულ შემთხვევებს; მას თან დაერთვის აღწერილობის ნიმუშები ქართულ და ინგლისურ ენებზე.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარმა სპეციალისტმა ა. ჩხენკელმა ელექტრონული რესურსების ბიბლიოგრაფიული აღწერილობის მეთოდური რეკომენდაციები 2002 წელს შეადგინა. ნაშრომის დანიშნულებას შეადგენდა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებული CD-ROM – ების ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენა ბიბლიოგრაფიულ მონაცემთა ბაზის წარმოებისათვის PROCITE და BLINK2 პროგრამული უზრუნველყოფით.

წინამდებარე ნაშრომი დაეხმარება ბიბლიოთეკარებს საჯარო ბიბლიოთეკებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ელექტრონული მასალების საცნობარო აპარატის ორგანიზებაში. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტების განყოფილება სურვილებს, შენიშვნებსა და წინადადებებს მიიღებს და გაითვალისწინებს.

## 1. ზოგადი დებულებანი

### ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ობიექტი

ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ობიექტს წარმოადგენს ელქტრონული საინფორმაციო მასალები, რომლებიც კომპიუტერით იმართება და ისინიც, რომლებიც კომპიუტერთან მიერთებული პერიფერიული მოწყობილობების გამოყენებას მოითხოვენ. ელექტრონული რესურსები წარმოადგენენ ელექტრონულ მონაცემებს (ინფორმაციას ასოების, რიცხვების, სიმბოლოებისა და მათი კომბინაციების სახით), ელექტრონულ პროგრამებს (ოპერატორებისა და ქვეპროგრამების ნაკრებს, რომლებიც ცალკეული ამოცანების შესრულებას უზრუნველყოფენ) ან ერთ რესურსად შერწყმულ ყველა ამ სახეს. ხელმისაწვდომობის რეჟიმის მიხედვით ელექტრონული რესურსები იყოფა ლოკალური ხელმისაწვდომობისა (ცალკე ფიზიკურ მატარებელზე, დისკზე ან კასეტაზე განთავსებული ინფორმაცია, რომელიც მომხმარებელმა კომპიუტერში უნდა მოათავსოს) და დაშორებული ხელმისაწვდომობის (ვინჩესტერზე, სხვა დამმახსოვრებელ მოწყობილობაზე ან საინფორმაციო ქსელში განთავსებული ინფორმაცია, მაგალითად, ინტერნეტში) რესურსებად.

ელექტრონული რესურსების მატარებლების სახეებია:

1. მაგნიტური მატარებლები – მაგნიტური ფირები, კასეტა მაგნიტური ფირით, კარტრიჯი, მაგნიტური დისკი, ვიდეოკასეტა, აუდიოკასეტა, მიკროკასეტა;
2. ოპტიკური (ლაზერული) მატარებლები – კომპაქტ-დისკები (CD-ROM), ვიდეოდისკები.

მასალები, რომლებსაც ლოკალური ან დაშორებული ხელმისაწვდომობის ელექტრონული რესურსები შეიცავენ, გამოქვეყნებულად ითვლება.

### აღწერილობის სტრუქტურა და შედგენილობა

ელექტრონული რესურსების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა წარმოადგენს ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ძირითად ნაწილს და შეიცავს ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს, რომლებიც შედგენილია დადგენილი წესებით და ელექტრონული რესურსის იდენტიფიკაციას უზრუნველყოფენ. აგრეთვე იძლევიან ცნობებს მისი შინაარსის, დანიშნულების, ფიზიკური დახასიათების, სისტემური მოთხოვნის, ხელმისაწვდომობის რეჟიმის, გავრცელების საშუალებებისა და სხვ. შესახებ.

ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ელემენტები იყოფა აუცილებელ (მთავარ) და ფაკულტატურ ელემენტებად.

**ინფორმაციის წყაროები**

ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენისათვის ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს ინფორმაცია, რომელსაც ელექტრონული რესურსი შეიცავს: სატიტულო ფურცელზე, ძირითად მენიუში, პროგრამის შესახებ მონაცემებში, ეკრანზე ინფორმაციის პირველად გამოტანისას და ნებისმიერ გარკვევით გამოყოფილ მაიდენტიფიცირებელ მონაცემებში.

თუ შიდა ინფორმაციები არასაკმარისია ან იმ შემთხვევაში, როდესაც მათი წაკითხვა შეუძლებელია, გამოიყენება სხვა წყაროები:

– რესურსის ფიზიკურ მატარებელზე არსებული ეტიკეტი ან მარკირება;
– ტექნიკური დოკუმენტაცია, სხვა თანმხლები მასალა ან კონტეინერი (ყუთი, კონვერტი, კაბრა და სხვ.);
– ელექტრონული რესურსის გარეშე არსებული საცნობარო გამოცემები და სხვა წყაროები, მაგალითად, მეტამონაცემები.

ელექტრონული რესურსების აღწერილობის სფეროების მიხედვით მითითებული ინფორმაციის წყაროები:

| სფერო | წყარო |
|---|---|
| სათაურისა და პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების სფერო | შიდა წყაროები, ეტიკეტი, მარკირება, ტექნიკური დოკუმენტაცია, სხვა თანმხლები მასალა ან კონტეინერი |
| გამოცემის სფერო | შიდა წყაროები, ეტიკეტი, მარკირება, ტექნიკური დოკუმენტაცია, სხვა თანმხლები მასალა ან კონტეინერი |
| რესურსის სახისა და მოცულობის სფერო | ნებისმიერი წყარო |
| საგამომცემლო ცნობათა სფერო | შიდა წყაროები, ეტიკეტი, მარკირება, ტექნიკური დოკუმენტაცია, სხვა თანმხლები მასალა ან კონტეინერი |
| ფიზიკური დახასიათების სფერო | ნებისმიერი წყარო |
| სერიის სფერო | შიდა წყაროები, ეტიკეტი, მარკირება, ტექნიკური დოკუმენტაცია, სხვა თანმხლები მასალა ან კონტეინერი |
| შენიშვნების სფერო | ნებისმიერი წყარო |
| სტანდარტული ნომრის სფერო | ნებისმიერი წყარო |

ცნობები, რომლებიც სფეროსთვის მითითებული წყაროებიდან არ არის და აგრეთვე ისინი, რომლებიც ელექტრონული რესურსის ანალიზის საუძველზე დადგინდა, ჩაისმება კვადრატულ ფრჩხილებში.

**აღწერილობის ენა**

აღწერილობა დგება იმ ენაზე და იმ გრაფიკული გამოსახულებებით, რომლებითაც არის რესურსზე მონაცემები მოცემული. ცნობები მასალის საერთო დანიშნულებაზე, სახეზე, რესურსის მოცულობაზე, სხვა ფიზიკურ მახასიათებლებზე და აგრეთვე შენიშვნები და მონაცემები, რომლებიც სტანდარტული ნომრის სფეროში მიეთითება, შეიძლება მოყვანილ იქნეს ბიბლიოგრაფირების დაწესებულების ენაზე. ამასთანავე, დასაშვებია რესურსის აღწერილობაში ტრანსლიტერაცია ან ტრანსკრიპცია, რომელიც კვადრატული ფრჩხილების გარეშე მიეთითება.

**პუნქტუაცია**

აღწერილობის ყოველ ელემენტს, პირველი სფეროს პირველი ელემენტის გარდა, წინ უძღვის ან მოსდევს პუნქტუაციის ნიშნები. გამყოფ ნიშანს (წინ და შემდეგ) გამოყოფენ ინტერვალით, ტიპოგრაფიული წესით დაბეჭდილი ერთი ასოს შესაბამისად, მძიმისა და წერტილის გარდა, რომლებიც გამოიყოფა ერთი მომდევნო ინტერვალით. ფრჩხილები განიხილება, როგორც ერთიანი ნიშანი და გამოიყოფა ინტერვალით პირველის წინ და ბოლო ფრჩხილების შემდეგ.

ყოველ სფეროს, პირველის გარდა, წინ უძღვის წერტილი და დეფისი (.– ), დეფისის ორივე მხარეს ინტერვალით. თუ ეს სფერო იწყება აბზაცით, გამოყოფილია პოლიგრაფიული საშუალებებით ან შეწეულია, წინა სფეროს ბოლოში წერტილი და დეფისი იცვლება წერტილით.

სფეროებსა და ელემენტებს შორის გამოიყენება შემდეგი პუნქტუაციის ნიშნები:

. წერტილი
, მძიმე
: ორწერტილი
; წერტილ – მძიმე
/ დახრილი ხაზი
// ორი დახრილი ხაზი
( ) მრგვალი ფრჩხილები
[ ] კვადრატული ფრჩხილები

\+ პლუსის ნიშანი
= ტოლობის ნიშანი

**შემოკლებები. ბეჭდვითი შეცდომები**

ელექტრონული რესურსების აღწერილობის შედგენისას დასაშვებია გამოყენებულ იქნეს სიტყვათა და სიტყვათშეერთებათა შემოკლება მიღებული ნორმების შესაბამისად (იხ. სიტყვათშემოკლებანი ქართულ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში: მეთოდური წერილი.– თბ., 2007).

დოკუმენტზე შეცდომების აღმოჩენისას, რომლებიც ტექსტის აზრს არ ცვლიან, ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში ჩაიწერება შესწორებული სახით და შესწორება არ მიეთითება. ბეჭდვითი და ორთოგრაფიული შეცდომები, რომლებიც ცვლიან ტექსტის აზრს, ელექტრონული რესურსიდან უცვლელი სახით გადაიტანება. მის შემდეგ კი კვადრატულ ფრჩხილებში მიეთითება სწორი ფორმა, რომელსაც წინ წაემძღვარება „ე. ი.“ გამოტოვებული ასოები და ციფრები ასევე კვადრატულ ფრჩხილებში ჩაისმება.

## 2. ელექტრონული რესურსების აღწერილობის სფეროები და ელემენტები

**სათაურისა და პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების სფერო**

ძირითადი სათაური
[ მასალის ზოგადი აღნიშვნა ]
= პარალელური სათაური
: ცნობები, რომლებიც ეხება სათაურს
პასუხისმგებლობის შესახებ ცნობები
/ პირველი ცნობები
; შემდეგი ცნობები

**გამოცემის სფერო**

ცნობები გამოცემის შესახებ
= პარალელური ცნობები გამოცემის შესახებ
პასუხისმგებლობის შესახებ ცნობები, რომლებიც ეხება გამოცემას
/ პირველი ცნობები
; შემდეგი ცნობები
, დამატებითი ცნობები გამოცემაზე

**რესურსის სახისა და მოცულობის სფერო**

რესურსის სახის აღნიშვნა
(რესურსის მოცულობა)

**საგამომცემლო ცნობათა სფერო**

გამოცემის, წარმოების ან გავრცელების ადგილი
გამოცემის პირველი ადგილი
; გამოცემის შემდეგი ადგილი
: გამომცემლის, მწარმოებლის ან გამავრცელებლის სახელი
გამოცემის, წარმოების ან გავრცელების თარიღი
( დამზადების ადგილი
: დამამზადებლის სახელი
, დამზადების თარიღი )

**ფიზიკური დახასიათების სფერო**

ფიზიკური ერთეულის მასალისა და რაოდენობის სპეციფიკური აღნიშვნა
: სხვა ფიზიკური მახასიათებლები
; ზომა
\+ ცნობები თანმხლები მასალების შესახებ

**სერიის სფერო**

(სერიის ან ქვესერიის ძირითადი სათაური
= სერიის ან ქვესერიის პარალელური სათაური
: ცნობები, რომლებიც ეხება სერიის ან ქვესერიის სათაურს
ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც სერიას ან ქვესერიას ეხება
/ პირველი ცნობები
; მომდევნო ცნობები
, სერიის ან ქვესერიის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი (ISSN)
; სერიის ან ქვესერიის შიდა ნუმერაცია

**შენიშვნების სფერო**

**სტანდარტული ნომრის (ან მისი ალტერნატივის) სფერო და ხელმისაწვდომობის პირობები**

**სტანდარტული ნომერი ( ან მისი ალტერნატივა )**

= საკვანძო თავსათაური
: ხელმისაწვდომობის პირობები და (ან) ფასი

## ელექტრონული რესურსის აღწერილობის სქემა

ძირითადი სათაური [ მასალის ზოგადი აღნიშვნა ] = პარალელური სათაური : ცნობები, რომლებიც ეხება სათაურს / პასუხისმგებლობის შესახებ ცნობები . – ცნობები გამოცემის შესახებ = პარალელური ცნობები გამოცემის შესახებ / პასუხისმგებლობის შესახებ ცნობები, რომლებიც ეხება გამოცემას, დამატებითი ცნობები გამოცემის შესახებ . – რესურსის სახის აღნიშვნა ( რესურსის მოცულობა ).– გამოცემის ადგილი : გამომცემლის სახელი, გამოცემის თარიღი (დამზადების ადგილი: დამამზადებლის სახელი, დამზადების თარიღი).– მასალის სპეციფიკური აღნიშვნა და ფიზიკური ერთეუ-

ლის რაოდენობა: სხვა ფიზიკური მახასიათებლები; ზომა + ცნობები თანმხლები მასალების შესახებ.– (სერიის ან ქვესერიის ძირითადი სათაური = სერიის ან ქვესერიის პარალელური სათაური, ISSN; სერიის ან ქვესერიის შიდა ნუმერაცია).– შენიშვნები.– სტანდარტული ნომერი = საკვანძო სათაური: ხელმისაწვდომობის პირობები და (ან) ფასი.

## 1. სათაურისა და პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების სფერო

ელექტრონული რესურსის ბიბლიოგრაფიული აღწერილობის პირველ ელემენტს ძირითადი სათაური წარმოადგენს და ის იმავე სახით მიეთითება, როგორც ინფორმაციის წყაროშია მოყვანილი. ძირითად სათაურს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა:

ძირითადი სათაური შეიძლება იყოს თემატური ან ტიპობრივი, რომელიც მხოლოდ დოკუმენტის სახისა და ნაწარმოების ჟანრის ტერმინებისგან შედგება.

სამრეწველო კატალოგი
იურიდიული ცნობარი ყველასთვის
გრაფიკა და ფერწერა

ძირითადი სათაური შეიძლება შეიცავდეს პირის სახელს, ორგანიზაციის (სრულ ან შემოკლებით) დასახელებას ან სათაურთან გრამატიკულად დაკავშირებულ სხვა ცნობებს.

დავით გამრეკელი, ბარიტონი [ელექტრონული რესურსი]
ერისიონი, ქართული ლეგენდა [ელექტრონული რესურსი]

ძირითადი სათაური შეიძლება შეიცავდეს ინიციალებისა და აკრონიმების, ციფრებისა და სხვა სიმბოლოების ნაკრებს. წყაროში მოყვანილი სრული ფორმა, რომელიც არ გამოიყენება ძირითად სათაურად, მოიყვანება როგორც ცნობა, რომელიც ეხება თავსათაურს.

გპი-ს კვარტეტი [ელექტრონული რესურსი]
33ა [ელექტრონული რესურსი] : ახალი ალბომი
Exceell 2007 [ელექტრონული რესურსი]
Barron's GMAT [ელექტრონული რესურსი]

ძირითადი სათაური შეიძლება შეიცავდეს ორ თანაბარსწორუფლებიან სათაურს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან „ან“ და სხვა ეკვივალენტური (ალტერნატიული) სათაურით.

რამდენიმე სურათი თეატრის ცხოვრებიდან ანუ ინტერვიუ ჭოლასთან [ელექტრონული რესურსი]

ძირითადი სათაური შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე წინადადებისგან.

ჯადოსნური ღამე. თეთრი ქვები [ელექტრონული რესურსი]

თუ წყაროში მოცემულია ცალკეულ ნაწარმოებთა სათაურები და მთელი ელექტრონული რესურსის საერთო სათაური, უპირატესობა ენიჭება საერთო სათაურს; ცალკეულ ნაწარმოებთა სათაურები მიეთითება შენიშვნების სფეროში.

ტრიო თბილისი 1982–2003 [ელექტრონული რესურსი]:
სიმღერაა ჩვენი საფიცარი

(შენიშვნებში: შინაარსი: თბილისს; გამახარე; გოგოვ, თაფლისთვალაო; ჭადარი; ზღვა; შემოდგომა; ქალაქური; პოპური)

ძირითადი სათაური შეიძლება შედგებოდეს საერთო და დამოკიდებული სათაურისგან, თუ მისი იდენტიფიკაციისათვის დამოკიდებული სათაური საკმარისი არ არის. ასეთი სათაურები ერთმანეთისგან წერტილით გამოიყოფა.

პილიგრამობა ევროპიდან იერუსალიმში. ჩვენ პირველი
ევროპელები ვართ! [ელექტრონული რესურსი]

აღწერილობის ძირითად სათაურად შეიძლება მოყვანილი იყოს მხოლოდ ნაწარმოების განყოფილების, დანართის ან ნაწილის სათაური, თუ ის საკმარისია ელექტრონული რესურსის იდენტიფიკაციისათვის. ამ შემთხვევაში საერთო სათაური მიეთითება სერიის სფეროში.

თუ ელექტრონული რესურსი შედგება რამდენიმე ნაწარმოებისგან, რომელთაც საერთო სათაური არ გააჩნიათ, აღწერილობაში ძირითადი სათაური არ მიეთითება. ცალკეული ნაწარმოებების სათაურები აღწერილობაში ჩაიწერება ინფორმაციის წყაროში მითითებული რიგის მიხედვით. ცალკეული ნაწარმოებების რაოდენობა შეიძლება შემცირდეს პირველ სამამდე, მომდევნო ინტერვალის ნიშნით.

თუ არსებობს ერთი მიწერილი ინფორმაციის წყარო, მაგრამ მასში არის სათაურის რამდენიმე ვარიანტი ერთსა და იმავე ენაზე ან ერთი და იგივე გრაფიკით, ძირითად სათაურად ირჩევენ პოლიგრაფიულად გამოყოფილ, ანუ პირველ სათაურს.

თუ მიწერილი წყარო რამდენიმეა, ძირითადი სათაურის წყაროდ ირჩევენ ორიდან პირველს ან უფრო თანმიმდევრულად წარმოდგენილ წყაროს.

როდესაც წყაროზე არ არის წარმოდგენილი ძირითადი სათაური, დასაშვებია მიეთითოს ტექსტის პირველი სიტყვები ან სატიტულო ეკრანზე გამოტანილი მთელი ტექსტი. თუ ესეც შეუძლებელია, სათაური ჩაიწერება ელექტრონული რესურსის ანალიზის საფუძველზე და ჩაისმება კვადრატულ ფრჩხილებში.

მასალის საერთო აღნიშვნა შეიცავს მითითებას მასალის ტიპზე, რომელსაც ელექტრონული რესურსი მიეკუთვნება.

მასალის საერთო აღნიშვნა მიეთითება ძირითადი სათაურის შემდეგ, კვადრატულ ფრჩხილებში, ბიბლიოგრაფირების დაწესებულების ენაზე, შემოკლების გარეშე.

[ელექტრონული რესურსი]
[Electronic resource]
[Электронный ресурс]

თუ ობიექტი წარმოადგენს ელექტრონულ რესურსს და ამასთანავე შეიცავს სხვა კატეგორიის დამატებით მასალებს, საერთო აღნიშვნა მხოლოდ ძირითად ობიექტს მიეკუთვნება. დამატებით მასალაზე ცნობები რეკომენდებულია აღინიშნოს ფიზიკური დახასიათების სფეროში, როგორც დანართი ან შენიშვნების სფეროში.

დედა ენა [ელექტრონული რესურსი]

(ელექტრონულ რესურსს დაერთვის დამატებითი მასალა: ქართული ენის სახელმძღვანელო აუდიოკასეტით, ცნობები, რომლებიც შეიძლება აისახოს ზემოთ ხსენებული რომელიმე წესის შესაბამისად)

პარალელურ სათაურს, როგორც ძირითადი სათაურის ეკვივალენტს, სხვა ენაზე აქვს იგივე ფორმა და მითითების იგივე წესები, რაც ძირითად სათაურს. ორიგინალის სათაური სხვა ენაზე განიხილება, როგორც პარალელური, თუ ის ინფორმაციის წყაროშია მითითებული. პარალელური სათაურების რაოდენობა განისაზღვრება ბიბლიოგრაფირების დაწესებულების მიერ. ყოველ პარალელურ სათაურს წინ უძღვის ტოლობის ნიშანი ( = ).

როკვით განფენილნი [ელექტრონული რესურსი] = Растворенные в танце = Diffused in dance

ცნობები, რომლებიც ეხება სათაურს, შეიცავს ინფორმაციას, რომელიც ხსნის ძირითად სათაურს. ყოველ არაერთგვაროვან ცნობას, რომელიც სათაურს ეხება, წინ უძღვის ორწერტილი (: ).

ლადო ასათიანი [ელექტრონული რესურსი] : ბიოგრაფია, პოეზია, ჩანაწერები

ქართული გალობა [ელექტრონული რესურსი] : თერთმეტი მარგალიტი : საარქივო ჩანაწერი. 1949 / ...

სათაურთან დაკავშირებული ცნობები აღწერილობაში მითითება იმ სახით და იმ ნიშნებით, როგორც მოცემულია ინფორმაციის წყაროში. თუ არ არის არავითარი ნიშნები, მაშინ მათ შორის დაისმის წერტილი.

: მდგომარეობა, პრობლემები, პერსპექტივები

: სვეტიცხოველი. ჯვრის მონასტერი. ბებრის ციხე

პასუხისმგებლობის შესახებ ცნობები შეიცავს ინფორმაციას პირთა ან ორგანიზაციათა შესახებ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს აღწერილობის ობიექტში მოთავსებული ინტელექტუალური ან მხატვრული ნაწარმოების შექმნაში.

ცნობები პირთა შესახებ შეიძლება შეიცავდეს ცნობებს მწერლებზე, მხატვრებზე, კომპოზიტორებზე, ტექსტის ავტორებზე, რედაქტორებზე, შემდგენლებზე, გადამმუშავებლებზე, პროგრამისტებზე, გამომგონებლებზე და ა. შ.

ცნობები ორგანიზაციების შესახებ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ელექტრონული რესურსის შექმნაში, დამზადებასა და რეალიზაციაში, აღწერილობაში მიეთითება თვით რესურსიდან ან სხვა ინფორმაციის წყაროდან. თუ ამ როლის დადგენა შეუძლებელია, ორგანიზაციის დასახელება შენიშვნების სფეროში მიეთითება.

ცნობები ორგანიზაცია – სპონსორის შესახებ მიეთითება, თუ ეს ცნობა მოყვანილია წყაროში და კავშირი სპონსორსა და აღწერილობის ობიექტს შორის სიტყვებითა და ფრაზებით გარკვევით გამოიხატება.

ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ შეიძლება შედგებოდეს პირთა სახელებისა და ორგანიზაციების დასახელებებისგან, თანმხლები სიტყვებითა და მოკლე ტექსტით, რომლებიც აზუსტებენ მათ როლს ამ მასალის შექმნაში ან შეიძლება მოყვანილი იყოს სიტყვებისა და ტექსტის გარეშე.

/ მუსიკის და ტექსტის ავტორი ონისე

/ რეჟ. მ. კოკოჩაშვილი; სცენ. ავტ. მ. ელიოზიშვილი

/ აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა კავშირი „ჰერა“

პასუხისმგებლობის შესახებ ცნობები შეიძლება შეიცავდეს ცნობებს დანართებისა და სხვა თანმხლები მასალების შესახებ, მასთან გრამატიკულად დაკავშირებული პასუხისმგებლობის შესახებ ცნობებთან ერთად, თუ ასეთი ცნობები არსებობს ინფორმაციის წყაროში. ამ შემთხვევაში ისინი მიეთითება პასუხისმგებლობის ცნობების შემდეგ, რომელიც აღწერილობის ძირითად ობიექტს ეხება.

თუ ცნობები რამდენიმე პირზე ან ორგანიზაციაზე წარმოადგენს ერთი და იგივე სახის პასუხისმგებლობას, ისინი ერთმანეთისაგან გამოიყოფა მძიმით ( , ). პირებისა და ორგანიზაციების რაოდენობის მითითებას განსაზღვრავს ბიბლიოგრაფირების დაწესებულება.

პასუხისმგებლობის შესახებ ცნობები, რომლებიც ორგანიზაციების დასახელებებში იერარქიულ ფორმებს შეიცავენ, მიეთითება იმ სახითა და იმ რიგით, როგორც არის ინფორმაციის წყაროში და გამოიყოფა მძიმით.

/ საქ. სახ. უნივერსიტეტი, სამეც. – სასწ. ცენტრი „განათლების ახალი ტექნოლოგიები"

თუ წყაროში მოცემულია ინფორმაცია სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობის პირთა შესახებ, ისინი ერთმანეთისგან გამოიყოფა წერტილ-მძიმით (; ). მათი მითითების რიგი დამოკიდებულია მასალის პოლიგრაფიულ გაფორმებაზე ან ინფორმაციის წყაროზე განლაგების თანმიმდევრობაზე. თუ ინფორმაცია წყაროდან არ არის ამოღებული, მაშინ მიეთითება ლოგიკური წესით.

/ მხატვ. დიზაინერი კ. ჯაფარიძე; კომპიუტ. გრაფ. ლ. გოცირიძე

## 2. გამოცემის სფერო

სფერო მოიცავს ინფორმაციას ამავე ნაწარმოების წინა გამოცემასთან დაკავშირებით, მოცემულ გამოცემაში ცვლილებებისა და თავისებურებების შესახებ.

გამოცემასთან დაკავშირებული ცნობები, უმრავლეს შემთხვევებში, შეიცავს სიტყვას «გამოცემა» ან მის ეკვივალენტს სხვა ენაზე. მის შემცვლელ სიტყვებს «ვერსია», «დონე», «გამოშვება» («level», «release», «update», «version» ) ახალ გამოცემაზე იმ შემთხვევაში მიანიშნებენ, როდესაც ამის შესახებ ელექტრონულ რესურსში დამატებით არის მითითებული.

. – 2-ე გამოც.
. – ვერსია 6/6/80. ბოლო მოდიფ. 29/9/81

ცნობები გამოცემის შესახებ შეიძლება შეიცავდეს სხვა ტერმინებს, რომლებიც მას წინა გამოცემისგან განასხვავებენ.

. – შესწ. გამოც.
. – გადამუშ. ვარიანტი
. – New release
. – School ed.

ცნობები გამოცემის შესახებ მიეთითება, თუ რესურსის ინტელექტუალურ შინაარსში შეტანილია ცვლილებები, დამატებულია ან ამოღებულია მასალა, პროგრამირების ენა ან ოპერაციული სისტემა მოდიფიცირებულია და რესურსის ეფექტურობა ამაღლებულია. ახალ გამოცემად არ ჩაითვლება ის გამოცემები, რომლებიც განსხვავდებიან მხოლოდ ინფორმაციის მატარებლის სახითა და ზომით, მონაცემების წარმოდგენის კოდებით და საშუალებებით და ა. შ. (მაგალითად, დაშორებული ხელმისაწვდომობის რესურსები, რომლებიც რბილ ან ოპტიკურ დისკზეა წარმოებული).

ელექტრონულ რესურსში გამოცემის შესახებ რამდენიმე ჯგუფის ცნობების არსებობისას, რომლებიც აღსაწერი ობიექტის ცალკეულ ნაწილებს ეხება, მიეთითება მხოლოდ ის ცნობები, რომლებიც მთლიანად რესურსს ეხება. თუ საერთო ცნობები არ არის, გამოცემის ცალკეული ნაწილების შესახებ ცნობები მიეთითება შენიშვნების სფეროში.

ცნობები, რომლებიც დაშორებული ხელმისაწვდომობის რესურსებს ეხება, ასევე მიეთითება შენიშვნების სფეროში.

გამოცემის შესახებ ცნობები აღწერილობაში ჩაიწერება იმ თანმიმდევრობით, როგორც არის მოცემული ინფორმაციის წყაროში. რიგითი ნომრები აღინიშნება არაბული ციფრებით.

წინა გამოცემისგან არსებითი ცვლილებების გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი ცნობები, რომლებიც ელექტრონულ რესურსში არ არის, შეიძლება მიეთითოს კვადრატულ ფრჩხილებში.

. – [ახალი გამოც.]
. – [Rev.ed. May 1990]

დამატებითი ცნობები გამოცემის შესახებ მიეთითება ძირითადი ცნობის შემდეგ და გამოიყოფა მისგან მძიმით (,).

. – მე – 2 გამოც., გადამუშ. ვერსია

### 3. რესურსის სახისა და მოცულობის სფერო

ელექტრონული რესურსის ძირითადი მახასიათებლები შეიცავენ რესურსის სახის აღნიშვნას – ელექტრონულ მონაცემებს ან ელექტრონულ პროგრამებს და აგრეთვე მონაცემებს მისი მოცულობის შესახებ. რესურსის სახისა და მოცულობის სფერო შეიძლება განმეორდეს. სხვა მახასიათებლები და სისტემური მოთხოვნები მიეთითება შენიშვნებში.

არსებობს ელექტრონული მონაცემების შემდეგი სახეები: ტექსტური, ხმოვანი, გრაფიკული, რიცხვითი, შრიფტული, დემონსტრაციული და სხვ.

ელექტრონული პროგრამები წარმოდგენილია სისტემური, გამოყენებითი და სერვისპროგრამებით. ერთ ელექტრონულ რესურსში შეიძლება შერწყმული იყოს ელექტრონული მონაცემები და სხვადასხვა სახის პროგრამები, მაგალითად, ინტერაქტიურ – მულტიმედიურ რესურსებში.

აღნიშნული დებულებანი ეხება დაშორებული ხელმისაწვდომობის განრიგით გამოსაყენებელ რესურსებს, მაგრამ შეიძლება აგრეთვე გამოყენებული იქნეს სხვადასხვა ფიზიკურ მატარებელზე (მაგნიტური, ოპტიკური, მაგნიტურ – ოპტიკური) განთავსებული რესურსებისათვის.

რესურსის სახის აღნიშვნა შეიცავს მისი შემცველი მასალების განზოგადებულ დახასიათებას.

. – ელექტრ. ჟურ.
. – ელექტრ. საძიებო პროგრ.

თუ მოცემულია რესურსის ორი სახის აღნიშვნა, მეორეს წინ უძღვის კავშირი «და» ან მისი ეკვივალენტი სხვა ენაზე.

. – ელექტრ. მონაც. და პროგრ.
. – Electronic data and program

რესურსის სახის აღნიშვნა ხდება ინფორმაციის წყაროს შესაბამისად, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, დგინდება რესურსის ანალიზის საშუალებით და აღწერილობაში კვადრატული ფრჩხილების გარეშე მიეთითება. სიტყვა «ელექტრონული» შეიძლება გამოტოვებულ იქნეს, თუ ეს სიტყვა უკვე არსებობს მასალის საერთო აღნიშვნაში.

რესურსის მოცულობის შესახებ ცნობები მიეთითება მრგვალ ფრჩხილებში ისე, როგორც არის მითითებული წყაროში. უფრო მეტი დეტალური დახასიათება ემატება იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია.

. – ელექტრ. მონაც. და პროგრ. (25 ფაილი)

რესურსის მონაცემებში შეიძლება მითითებული იყოს ჩანაწერებისა და ბაიტების რაოდენობა, პროგრამის რესურსისათვის – ოპერატორებისა და ბაიტების რაოდენობა. თუ მიეთითება ფაილების რაოდენობა, დანარჩენი ცნობები მიეწერება ორწერტილის (:)

შემდეგ; ამ მონაცემების შიგნით მოცემულ დაწვრილებით ცნობებს წინ უძღვის მძიმე (,).

. – ელექტრ. მონაც. (3 ფაილი) და პროგრ. (2 ფაილი)
. – ელექტრ. მონაც. (2 ფაილი : 70 ათასი ჩანაწერი)
. – ელექტრ. პროგრ (2 ფაილი : 18 650 ბაიტი)

ელექტრონული რესურსისათვის, რომელიც რამდენიმე ნაწილისგან შედგება, ჩანაწერებისა და ბაიტების რაოდენობა და ოპერატორებისა და ბაიტების რიცხვი ყოველი ნაწილისთვის ცალ – ცალკე შეიძლება იყოს მოყვანილი. ჩანაწერებისა და ბაიტების რაოდენობა შეიძლება დაახლოებით მიეთითოს. თუ რაოდენობის დადგენა შეუძლებელია, შენიშვნაში შესაბამისი განმარტებით აღინიშნება.

. – Electronic system program (3 files : ca. 35000 bytes each)
. – Electronic text data (12 files)

(შენიშვნების სფეროში: ცვალებადი სიგრძის რესურსი)

**4. საგამომცემლო ცნობების სფერო**

სფერო მოიცავს ცნობებს ელექტრონული რესურსის გამოცემის, დამზადების, გამოშვებისა და გავრცელების შესახებ. ცნობები რესურსის ფიზიკური დამზადების შესახებ სფეროში მოიყვანება, თუ ზემოთ მოხსენიებული ცნობები არ არის. სფერო შეიცავს ინფორმაციას პუბლიკაციის ადგილის, დროისა და გამომცემლის (მწარმოებლის) შესახებ.

გამოცემის (წარმოების) ადგილად ითვლება ქალაქი ან ის ადგილი, რომელიც ინფორმაციის წყაროში გამომცემლის (მწარმოებლის) სახელთან არის დაკავშირებული. გამოცემის რამდენიმე ადგილის მითითების შემთხვევაში აღწერილობაში მიეთითება პოლიგრაფიული საშუალებებით გამოყოფილი ან ძირითად წყაროში პირველად მითითებული. გამოტოვებული ცნობები აღინიშნება კვადრატულ ფრჩხილებში შემოკლებით «და სხვ.», «etc».

. - თბ. [და სხვ.]
. – London [etc]

შეიძლება მითითებულ იქნეს გამოცემის მეორე და ბოლო ადგილები, რომლებიც გამოიყოფა წერტილ – მძიმით ( ; ).

. – თბ.; თელავი
. – London ; Paris

გამოცემის ადგილის იდენტიფიკაციისათვის სახელწოდებას შეიძლება ახლდეს დამატებები და დამაზუსტებელი ინფორმაციები, რომლებიც მიეთითება მრგვალ ფრჩხილებში, თუ ინფორმაცია მიღებულია წყაროდან, მაგრამ თუ სხვა წყაროდანაა – კვადრატულ ფრჩხილებში. თუ დოკუმენტში არ არის ცნობა გამოცემის ადგილის შესახებ, მაგრამ ის ცნობილია, მიეთითება კვადრატულ ფრჩხილებში. სავარაუდო გამოცემის ადგილი მიეთითება კითხვის ნიშნით ( ? ).

. – [თბილისი ?]
. – [უკრაინა ?]

თუ შეუძლებელია ქალაქის სახელის დადგენა, მიეთითება მხარე, შტატი, ქვეყანა კვადრატულ ფრჩხილებში.

. – [France ?]

გამოცემის ადგილის შესახებ ცნობების არარსებობის შემთხვევაში კვადრატულ ფრჩხილებში შემოკლებით მიეთითება [ა. გ.], [1. <.] ან [s. l.] .

გამომცემლის (მწარმოებლის) სახელი (დასახელება) აღწერილობაში მიეთითება გამოცემის ადგილის შემდეგ და გამოიყოფა მისგან ორწერტილით ( : ).

. – თბ.: ბაკურ სულაკაურის გამ-ბა

ინფორმაციის წყაროში მითითებულ ყველა კატეგორიის პირებსა და ორგანიზაციებს შორის, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ელექტრონული რესურსის შექმნაში, უპირატესობა ენიჭება გამომცემელი პირისა და ორგანიზაციის სახელს. სხვა ცნობები გამოიტოვება.

როდესაც ინფორმაციის წყაროში მითითებულია ორი და მეტი გამომცემლის სახელი, აღწერილობაში ჩაიწერება გამორჩეული ან პირველად დასახელებული სახელი. ორივე ნიშნის არარსებობისას შეარჩევენ უფრო მნიშვნელოვანს, ხოლო მეორეს და შემდგომს გამოტოვებენ კვადრატულ ფრჩხილებში შემოკლებული აღნიშვნით [და სხვ.] ან [etc].

. - თბ.: ელფი [და სხვ.]

(ელექტრონულ რესურსში მითითებული იყო მეორე გამომცემლობის სახელი: „სანო სტუდია“)

დასაშვებია, მოყვანილი იყოს ორი და მეტი გამომცემლის (გამავრცელებლის) სახელი, რომლებიც აღინიშნება გამოცემის ადგილთან ერთად და გამოიყოფა ერთმანეთისგან წერტილ – მძიმით ( ; ) ან ორწერტილით ( : ), თუ გამოცემის ადგილი იგივეა.

. – თბ.: პეტიტი; ქუთაისი: სანო სტუდია

. – თბ.: ქართული ფილმი : სანო სტუდია

გამომცემლის (მწარმოებლის და სხვ.) სახელი (დასახელება) აღწერილობაში შეიძლება ჩაიწეროს ინფორმაციის წყაროში მოცემული შემოკლებული სახით. საჭიროების შემთხვევაში მას დაემატება ფრაზა, რომელიც მის როლს განმარტავს.

. – თბ.: თსუ გამ-ბა

. – Chicago : Follet Library Book [distributor]

თუ გამომცემლის (მწარმოებლის და სხვ.) სახელი (დასახელება) თავსათაურისა და პასუხისმგებლობის სფეროში აღნიშნულია სრული სახით, ამ სფეროში შეიძლება განმეორდეს სრული, შემოკლებული ან განმარტებითი ტექსტის სახით. შემოკლებული ფორმა მიეთითება კვადრატული ფრჩხილების გარეშე იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ არის ინფორმაციის წყაროში.

ქართული გალობა [ელექტრონული რესურსი] ... / თბ. სახ. კონსერვ.

ტრადიც. მრავალხმიანი კვლევ. საერთაშ. ცენტრი . – ...

თუ შეუძლებელია დადგინდეს ინფორმაციის წყაროში მითითებული პირის ან ორგანიზაციის ფუნქცია, მას მოიხსენიებენ შენიშვნების სფეროში.

გამოცემის (შექმნის, წარმოების და ა. შ.) თარიღად მიეთითება წელი, რომელიც ინფორმაციის წყაროშია აღნიშნული. ელექტრონული რესურსების შექმნის სპეციფიკიდან გამომდინარე რეკომენდებულია მიეწეროს შენიშვნაში რიცხვი, თვე და წელი, რომელიც რესურსზეა აღნიშნული. თუ ერთი და იგივე თარიღი ეკუთვნის გამოცემასა და წარმოებას, მიეთითება ბოლო სახელის (დასახელების) შემდეგ.

თუ გამოცემის თარიღი განსხვავდება გავრცელების თარიღისგან, ყოველი თარიღი მოთავსდება იმ ცნობის შემდეგ, რომელსაც ის მიეკუთვნება. სხვადასხვა ცნობები გამოიყოფა წერტილ – მძიმით ( ; ).

ჩანაწერში თარიღები იწერება არაბული ციფრებით იმ სახით, როგორც არის დოკუმენტში. კვადრატულ ფრჩხილებში მოიყვ-

ანება საზოგადოდ მიღებულისგან განსხვავებული (გრიგორიანული კალენდრით) თარიღები, თუ დოკუმენტში ცნობები მოყვანილია სხვა წელთაღრიცხვით; და თარიღის სწორი ფორმა, თუ დადგინდა, რომ დოკუმენტზე არასწორი თარიღია მიწერილი.

, 4308 [ 1975 ]
, 1792 [ 1972 ]

თუ გამოცემის თარიღი უცნობია და არ მოხერხდა მისი დადგენა, მიეთითება საავტორო უფლების ან დამზადების თარიღი კვადრატული ფრჩხილების გარეშე.

, დამზ. 1999
, საავტ. უფ. 2001

თუ შეუძლებელია გამოცემის თარიღის დადგენა, კვადრატულ ფრჩხილებში სავარაუდო გამოცემის (დამზადების) თარიღი მიეთითება.

, [ დაახლ. 1996 ]
, [ 2001 ? ]
, [ 200–? ]

**5. ფიზიკური დახასიათების სფერო**

სფეროში მოიყვანება ცნობები, რომლებიც ლოკალური ხელმისაწვდომობის ელექტრონული რესურსების აღწერილობას ეხება.

ამ განყოფილებაში მოცემულია წესები, რომლებიც განკუთვნილია ერთი სახის ფიზიკურ მატარებელზე განთავსებული ელექტრონული რესურსების აღსაწერად. თუ ერთი და იგივე რესურსი ხელმისაწვდომია სხვადასხვა ფიზიკურ მატარებელზე და გამოიყენება ერთი და იგივე სისტემით, რეკომენდებულია ყოველი ფიზიკური მატარებლისთვის ცალკე აღწერილობა შედგეს.

სფეროს პირველ ელემენტს წარმოადგენს მასალის სპეციფიკური აღნიშვნა, რომელსაც მიეკუთვნება ფიზიკური მატარებელი და ფიზიკური მატარებლის რაოდენობა. მასალის სპეციფიკური აღნიშვნის ტერმინებია:

1. ელექტრონული მიკროპროცესორული კარტრიჯი
2. ელექტრონული დისკი
   ა) ელექტრონული მაგნიტური დისკი
      – მაგარი მაგნიტური დისკი
      – რბილი მაგნიტური დისკი (დისკეტა)
   ბ) ელექტრონული ოპტიკური დისკი
      – ინტერაქტიური კომპაქტ-დისკი (CD-1)
      – კომპაქტ-დისკი მუდმივი მეხსიერებით (CD-ROM)

– კომპაქტ-დისკი ერთჯერადი ჩანაწერისათვის (CD-WORM)
– ფოტო-კომპაქტ-დისკი (Photo-CD)
– ინტერაქტიური ვიდეოდისკი

3. ელექტრონული კასეტა მაგნიტური ლენტით

4. ელექტრონული ბობინა (კატუშკა) მაგნიტური ლენტით

თუ ჩამოთვლილიდან არც ერთი არ მიესადაგება, მიეთითება შესაბამისი სპეციალური ტერმინი: «ელექტრონული», ან თუ გამოყენებულია მასალის საერთო აღნიშვნა, ეს სიტყვაც გამოიტოვება.

მასალის სპეციფიკური აღნიშვნის წინ ფიზიკური ერთეულის რაოდენობა არაბული ციფრებით იწერება. ოპტიკური დისკის კონკრეტული სახე, მასალის სპეციფიკური აღნიშვნის შემდეგ, მრგვალ ფრჩხილებში მიეთითება.

, 1 ელექტრ. ოპტ. დისკი (CD-ROM)
, 3 ელექტრ. ოპტ. დისკი (Photo-CD)

სხვა ფიზიკურ მახასიათებლებს მიეკუთვნება ინფორმაცია ხმაზე და ფერზე, რომელიც წინა ცნობებისგან ორწერტილით გამოიყოფა. ცნობები ხმის შესახებ მიეთითება იმ ელექტრონული რესურსების აღწერილობაში, რომელთაც ხმოვანი ჩანაწერი გააჩნიათ. ხმის შესახებ კვლავწარმოება აისახება შენიშვნაში.

. – ელექტრ. დისკი : ხმ.
. – electronic disks : sd.

ფერების მახასიათებლები მიეთითება რესურსებს, რომლებიც განკუთვნილია ეკრანზე ორი და მეტი ფერის გამოსატანად.

. – 1 ელექტრ. ოპტ. დისკი (CD-R) : ხმ., ფერ.
. – 2 electronic tape cassettes : col.

აღწერილობაში მითითებული ძირითადი ზომები, მისი შეფუთვის ზომების მიუხედავად, თვით ფიზიკურ მატარებელს ეხება. რბილი ან ოპტიკური დისკის ან ბობინის ლენტის ზომის ერთეულს წარმოადგენს დიამეტრი სანტიმეტრებში. შეიძლება მითითებული იყოს ლენტის სიგრძე და სიგანე. თუ რესურსი შედგება სხვადასხვა ზომის ერთნაირი სახის ფიზიკური მატარებლისგან, მაშინ დეფისით მიეთითება ფიზიკური მატარებლის ყველაზე პატარა და ყველაზე დიდი ზომები. აღწერილობაში მიეთითება აგრეთვე კარტრიჯის წინა ზედაპირის სიგრძე.

. – 1 ელექტრ. რბილი დისკი (IBM PC) ; 14 სმ.
. – 3 electronic disks ; 9–14 სმ.
. – 1 electronic chip cartridge : sd., col.; 9 cm.

დოკუმენტებისთვის, რომლებიც ჩასმულია ყუთში (მაგ., ელექტრონული დისკების კომპლექტი), მიეთითება კონტეინერის ზომები.

; კონტეინერში, 12 × 36 × 20 სმ.

ცნობები თანმხლები მასალების შესახებ მოიყვანება ნების-მიერი ცალკეული ფიზიკური მასალის არსებობისას, რომლებიც განკუთვნილია ერთიანი მოხმარებისათვის (მაგ., ელექტრონული დისკი ხმოვანი კასეტითა და ბროშურით). ჩანაწერი თანმხლები მასალების ცნობებზე დგება იმ წესების შესაბამისად, რომელთაც მიეკუთვნება ეს მასალა. თანმხლები მასალის მოკლე ფიზიკური დახასიათება მიეთითება დოკუმენტის ფიზიკური დახასიათების შემდეგ.

. – 1 ელექტრ. მიკროპროც. კარტრიჯი; 19×9 სმ., 7 მმ ლენტა : ფერ. + 1 ხმ. კასეტა (17 წთ.)

. – 2 electronic disks ; 9 cm. + user manual (110 p., 23 cm.)

თანმხლებ მასალებზე შეიძლება შედგენილ იქნეს აღწერილობა, როგორც დამოუკიდებელ ობიექტზე; მას დაერთვის აუცილებელი განმარტება მის ელექტრონულ რესურსთან კავშირის შესახებ.

დაშორებული ხელმისაწვდომობის ელექტრონული რესურსის აღწერილობას ფიზიკური დახასიათების სფერო არ აქვს; თანმხლები დოკუმენტი აღინიშნება შენიშვნაში.

## 6. სერიის სფერო

სერიის სფერო გამოიყენება, თუ ელექტრონული რესურსის ყველა ნაწილი ქვეყნდება (ან გამოქვეყნდება) ერთი და იგივე სერიაში ან ქვესერიაში. სერიის სფერო შეიძლება განმეორდეს; ცნობები ყოველი სერიის შესახებ ჩაისმება მრგვალ ფრჩხილებში და ერთმანეთისგან დაცილებით გამოიყოფა.

. – (მსოფლიო კულტურის შედევრები)

. – (მულტიმედიური სასწავლო სერიები) (აღმოჩენების ისტორია)

. – (абс) (Весь мир в 3 D)

სერიის ძირითადი სათაური აღწერილობაში მიეთითება სერიული გამოცემების აღწერილობის შედგენის წესების შესაბამისად. საერთო სათაურად ყოველთვის მიეთითება სერიის სათაური, დამოკიდებულ სათაურად – ქვესერიის სათაური.

. – (მონატრებული ჰანგები. ნაწ.: 3, ფეხზე დაგიდგები საქართველო)

. – (National income patterns. Series 3, Indonesia)

თუ ქვესერიას აქვს დამოუკიდებელი სათაური, ის სერიის სფეროში მიეთითება როგორც ძირითადი, საერთო სათაური კი მიეთითება შენიშვნაში.

**მზე შემოდგომისა. ჩამავალი მზე** [ელექტრონული რესურსი] / რეჟის. თემურ ფალავანდიშვილი - თბ. : ქართული ფილმი, 2005 : სანო სტუდია - 1 DVD [100 წთ.] ; 12 სმ. - (თემურ ფალავანდიშვილის ფილმები №3)

სერიის ძირითად სათაურად შეიძლება ჩაითვალოს რესურსის საერთო სათაური, რომელიც რამდენიმე ნაწილისგან შედგება, თუ აღწერილობის ობიექტი ერთ-ერთი მისი შემადგენელი ნაწილია.

. – (Большая автомобильная энциклопедия ; ч. 2)

ინფორმაციის წყაროში სერიის ან ქვესერიის პარალელური სათაურის არსებობისას მიეთითება ყველა სათაური, მათ შორის ტოლობის ნიშნით და ჩაისმება მრგვალ ფრჩხილებში.

. – (Talk now = Начните говорить прямо сейчас)

სერიის ან ქვესერიის სათაურთან დაკავშირებული ცნობები, რომლებიც აუცილებელია მისი იდენტიფიკაციისათვის, მიეთითება მიღებული ნორმების შესაბამისად აღწერილობის ამავე ელემენტში წინ ორწერტილით (: ).

. – (New series : Museums and art collections in Italia)

სერიის სფეროში ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ მიეთითება, თუ სერიის ან ქვესერიის სათაური ტიპურია. სხვა შემთხვევებში ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ გამოიტოვება.

. – (Bibliographical databases / INION)

სერიის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი მიეთითება, თუ ასეთი რესურსს გააჩნია; მას წინ უძღვის მძიმე (, ).

სერიისა და ქვესერიის გამოშვების ნომრები მიეთითება იმ ტერმინებით, როგორც ის მითითებულია დოკუმენტში და წინა ცნობებისგან გამოიყოფა წერტილ-მძიმით (;).

; გამოშვ. 3

; №2

; Module 2

## 7. შენიშვნების სფერო

შენიშვნების სფერო მოიცავს დამატებით ინფორმაციას ელექტრონული რესურსის ფიზიკური გაფორმებისა და (ან) მისი შინაარსის შესახებ. ის ეხება აღწერილობას მთლიანად ან ცალკეულ სფეროებს, მაგრამ შეიძლება შეიცავდეს ცნობებს, რომლებიც არ ეხება კონკრეტულ სფეროს. შენიშვნები მიეთითება აღწერილობის სფეროების რიგის შესაბამისად, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში პირველად მიეთითება ის შენიშვნა, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია. სისტემური მოთხოვნებისა და ხელმისაწვდომობის რეჟიმის შენიშვნები ყველა სხვა შენიშვნებს წინ უსწრებს.

შენიშვნები ფაკულტატურია, მაგრამ არსებობს შენიშვნები, რომელთა მითითება ამ სფეროში აუცილებელია. ყოველი შენიშვნა შემდეგისგან გამოიყოფა წერტილითა და დეფისით ( . – ). დეფისი გამოიტოვება, თუ ყოველი შენიშვნა ახალი ხაზიდან იწყება.

შენიშვნები სისტემური მოთხოვნების შესახებ აუცილებელია ლოკალური ხელმისაწვდომობის რესურსებისთვის და შენიშვნების სფეროში პირველი მიეთითება. ის შეიძლება შეიცავდეს რამდენიმე ტექნიკურ სპეციფიკას შემდეგი თანმიმდევრობით:

- კომპიუტერის დასახელება და მოდელი
- თავისუფალი და (ან) ოპერატიული მეხსიერების მოცულობა
- ოპერატიული სისტემის დასახელება
- პროგრამული უზრუნველყოფა ( პროგრამირების ენა )
- პერიფერიული მოწყობილობა
- ტექნიკური საშუალებები

ასეთ ცნობებზე გვაფრთხილებენ ფრაზები: სისტემური მოთხოვნები (სხვა ენებზე: Систем. требования; System requirements და ა. შ.). სხვადასხვა ცნობები ერთმანეთისგან გამოიყოფა წერტილ – მძიმით. ( ; ).

. – Систем. Требования : ПК с процессором 486 DX2-66 Мгц ; 8 Мб ОЗУ ; MS Windows 3.1 или MS Windows 95 ; SVGA видеоплата и монитор (640 Н 480, 256 цв ; 2-скоростной CD-ROM дисковод ; MS Windows Совместимая зв. Карта ; мышь

. – System requirement : IBM compatible PC with 386 processor higher ; 4MB RAM ; MS-DOS 5.0 or higher ; “S Windows 3.1 or higher ; 5MB free space on The hard disk ; DIN/ ISO 9660 CD-ROM drive ; mouse

ცალკეულ ფიზიკურ მატარებლებზე სისტემური მოთხოვნებ-ის შესახებ საერთო შენიშვნები მიეთითება, თუ აღწერილობის ობიექტი შედგება ორი და მეტი სხვადასხვა ფიზიკური მატარე-ბლისაგან (მაგალითად, შერეული სახის ელექტრონული რესურ-სი, რომელიც შეიცავს ელექტრონულ დისკსა და ვიდეოდისკს).

. – სისტემური მოთხოვნები: Macintosh; at least I MB; System 6.0.5 or later; HyperCard version 1.0 or later; hard disk drive; videodisc player (Pioneer 2200, 4200, 6000A, 6010A, 8000); RS232 cable connector (from Macintosh to videodisc player)

ალტერნატიული ვარიანტი – ცალკეული შენიშვნები, რომლებიც ელექტრონული რესურსის შემცველი ცალკეული ფიზიკური მა-ტარებლების სისტემების გამორჩეულ დახასიათებებს შეიცავენ.

. – სისტემური მოთხოვნები ელექტრონული დისკისთვის: Macintosh; at least I MB; System 6.0.5 or later; HyperCard version 1.0 or later; hard disk drive; cable connector (from Macintosh to videodisc player)

. – სისტემური მოთხოვნები ვიდეოდისკისთვის: Videodisc player (Pioneer 2200, 4200, 6000A, 6010A, 8000).

ანალოგიური გადაწყვეტილებები მიიღება, როდესაც სისტე-მური მოთხოვნები სხვადასხვა ოპერაციულ სისტემებს ეხება.

შენიშვნა ხელმისაწვდომობის რეჟიმის შესახებ მიეთითება პირველი, როდესაც არ არსებობს შენიშვნები სისტემური მოთხ-ოვნების შესახებ. ეს შენიშვნა აუცილებელია დაშორებული ხე-ლმისაწვდომობის ელექტრონული რესურსის ბიბლიოგრაფიუ-ლი აღწერისას და მას წინ უძღვის სიტყვა «ხელმისაწვდომო-ბის რეჟიმი» ან მისი ეკვივალენტი სხვა ენაზე (მაგ., «Mode of access» და ა. შ.)

. – Режим доступа : Computer university network

. – Режим доступа : http: // www.un.org

. – Mode of access : Mikenet

შენიშვნები, რომლებიც სათაურისა და პასუხისმგებლობის შესახებ სფეროს ეხება, მიეთითება ელექტრონულ რესურსში აღ-წერილი ნაწარმოების ენაზე.

. – ინგლ.

. – ტექსტი ეკრ. ფრანგ., ინგლ.

შენიშვნა ნაწარმოების თარგმნისა და გადამუშავების შესახ-ებ მიეთითება ორიგინალის სათაურთან ერთად (თუ ცნობა არის ინფორმაციის წყაროში).

. – თარგმნ. ნაწარმოები : Als de dood
. – ნაწარმოების ადაპტაცია : Draculus. 1994

პროგრამირების ენას მიუთითებენ სისტემური მოთხოვნების შესახებ შენიშვნებში.

აუცილებელია, შენიშვნაში მიეთითოს ძირითადი სათაურის წყარო.

. – სათ. კონტეინერიდან
. – სათ. ვიდეოდისკის ეტიკეტიდან
. – სათ. კაბრიდან
. – სათ. ინტერნეტის გვერდიდან

შენიშვნაში უნდა მიეთითოს სათაურის სხვა ვარიანტები და აგრეთვე პარალელური და სათაურთან დაკავშირებული ის ცნობები, რომლებიც სათაურის შესახებ სფეროში არ არის მითითებული.

. – სათ. კონტეინერზე : ...
. – მეორე სათ. ეკრანზე : ...

პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების შენიშვნები შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას პირებისა და ორგანიზაციების პასუხ-ისმგებლობის შესახებ, რომელთა ფუნქცია განსაზღვრული არ არის და აგრეთვე ინფორმაციას პირებისა და ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც ნაწარმოების წინა გამოცემასთან არიან კავ-შირში და აგრეთვე სხვა ინფორმაციას პირებისა და ორგანიზა-ციების შესახებ, რომელიც არ არის მითითებული სათაურის სფეროში და არ არის მოპოვებული ელექტრონული რესურსიდან.

. – ავტორები არიან აგრეთვე : ...
. – სისტემ. დიზაინერი (გვარი...);

საგამომცემლო ცნობების სფეროს შენიშვნები შეიძლება მოი-ცავდეს დამატებით ინფორმაციას, თუ გამოცემის შესახებ ინფორ-მაციის წყარო განსხვავდება ძირითადი სათაურის წყაროსგან.

. – ინფორმ. გამოც. შესახებ დისკის ეტიკეტიდან
. – ინფორმ. გამოც. შესახებ რესურსის ბოლოში

შენიშვნა ელექტრონული რესურსის ბიბლიოგრაფიული ის-ტორიის შესახებ შეიძლება შეიცავდეს მითითებას დაშორებული ხელმისაწვდომობის ელექტრონული რესურსის შინაარსის ხშირ

ცვლილებასა და პერიოდულობაზე. შეიძლება აგრეთვე მიეთითოს ამ რესურსის სხვა გამოცემებთან კავშირის შესახებ.

. – კორექტირდება ყოველკვირეულად
. – კორექტირდება ხშირად; ბოლო კორექტ.: 2/06/09

შენიშვნებში შეიძლება მიეთითოს ელექტრონული რესურსის შინაარსთან, მდგომარეობასა და გამოყენებასთან დაკავშირებული თარიღები.

. – მონაცემები 2005 წ. მდგომარეობით
. – ცნობები მოპ. 2002 წ. მაისში

რესურსის სახისა და მოცულობის სფეროს შენიშვნებში შეიძლება მიეთითოს ინფორმაცია რესურსის ზომის შესახებ ან ის, რომ ზომა დადგენილი არ არის; დამატებითი ინფორმაცია თანმხლები მასალების შესახებ და ა. შ.

. – რესურსის ზომა დადგენილი არ არის

ელექტრონული რესურსის ფიზიკური დახასიათების სფეროს შენიშვნები ავსებენ ფიზიკური დახასიათების სფეროს ინფორმაციებს: ფიზიკური მატარებლების ვარიანტების, აღწერილობის ერთ ობიექტში სხვადასხვა კატეგორიის მასალებს შორის ურთიერთკავშირის, სხვა მატარებელზე ანალოგის არსებობისა და სხვ. შესახებ.

. – არსებობს დაბეჭდილი ანალოგი
. – ინფორმ. ხელმისაწვდ. აგრეთვე ინტერნეტით

სერიის სფეროს შენიშვნა შეიცავს ცნობებს სერიის შესახებ, რომლებიც არ არის მოყვანილი შესაბამის სფეროში.

. – სერიის საერთო სათაური : ქართული პოეზია

შენიშვნა შეიძლება ხსნიდეს აღწერილობის ობიექტის შინაარსს, რომელიც იწყება სიტყვით «შინაარსი», «Содерж.» ან «Contents». მას მოსდევს დოკუმენტის ცალკეული ნაწარმოებებისა და შემადგენელი ნაწილების ჩამონათვალი თანმხლები ცნობებით პასუხისმგებლობის, მოცულობისა და სხვ. შესახებ. შინაარსის შესახებ შენიშვნებში შეიძლება მიეთითოს სხვა ჩანართები, როგორიცაა მაჩვენებლები, დანართები და ა. შ.

ელექტრონული რესურსების ნაწილზე შეიძლება ცალკე აღწერილობა შედგეს.

. – შინაარსი : 1. 1990–1997; 2. 1997–2005
. – დანართის შინაარსი : სქემები (15 გვ.)

შენიშვნები ელექტრონული რესურსის ხელმისაწვდომობის პირობების შესახებ შეიცავს ცნობებს დოკუმენტის შეზღუდულ ტირაჟზე ან გავრცელებაზე.

. – ტირ. 250 ეგზ.
. – საჯარო მოხმარება შეზღუდულია

შენიშვნებში ზუსტდება, რომელი მონაცემის საფუძველზეა შედგენილი დაშორებული ხელმისაწვდომობის დინამიური რესურსის აღწერილობა.

. – აღწერილობა ეფუძნება ვერსიას: 2 ოქტ., 2007, 13:22:10
. – Description based on home page data: 09/06/99

შენიშვნებში შეიძლება მიეთითოს თემები და საგნები, რომლებსაც აღწერილობის ობიექტი მოიცავს და აგრეთვე ინფორმაცია სპეციალური ტექნოლოგიებისა და პროცესების გამოყენების შესახებ. შენიშვნა შეიძლება იყოს ელექტრონული რესურსის გამოყენებისა და მისი მკითხველური დანიშნულების სარეკომენდაციო ხასიათის ინფორმაციის შემცველი.

. – 3-6 წლის ასაკისათვის
. – უმაღლესი სასწ. სტუდენტებისათვის
. – რესურსი დახურულია 2010 წ.

ნომრების შესახებ შენიშვნებში მიეთითება ყველა ნომერი, რომლებიც ელექტრონულ რესურსებს ეხება, ISBN-ისა და ISSN-ს გარდა.

. – კონტეინერზე ნომერი: ...

სხვა შენიშვნები, რომლებიც ბიბლიოგრაფირების დაწესებულებისთვის აუცილებელ ინფორმაციებს შეიცავენ, შეიძლება იყოს ფაილების დასახელებები, ინფორმაციები სხვა წყაროდან (ან სხვა წყაროში) რესურსის ასლის გადაღების თარიღის შესახებ.

## 8. სტანდარტული ნომრის (ან მისი ალტერნატივის) და ხელმისაწვდომობის პირობების სფერო

ამ სფეროში ცნობები დადგენილი წესების შესაბამისად მიეთითება. სფერო მეორდება, თუ ელექტრონულ რესურსს გააჩნია რამდენიმე სტანდარტული ნომერი. ეს შესაძლებელია მაშინ, როდესაც რესურსი განთავსებულია ერთზე მეტ მატარებელზე ან შექმნილია რამდენიმე გამომცემლის (მწარმოებლის) მიერ.

აღწერილობის ობიექტის მაიდენტიფიცირებელი სტანდარტული ნომერი იწერება პირველი. მეორე და შემდგომი ნომრები მიეთითება განმარტებებით, რომლებიც ჩაისმის მრგვალ ფრჩხილებში.

. – ISBN 3–598–40396–8

. – ISBN 0=13–942012–6 (დისკი). – ISBN 0–13–942004 (კასეტა)

ელექტრონული რესურსის შეძენისათვის ხელმისაწვდომობის პირობებად შეიძლება მითითებულ იქნას ფასი, პირობები ან შეზღუდვები.

## დანართი 1. საერთო სათაურის გარეშე არსებული ელექტრონული რესურსების კრებულების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა

ელექტრონული რესურსების ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში, რომელიც წარმოადგენს კრებულებს საერთო სათაურის გარეშე, სათაურის სფეროში ინფორმაციის მითითება ხდება შემდეგნაირად:

- ცალკეული ნაწარმოებების სათაურები მიეთითება დადგენილი წესების შესაბამისად;
- სათაურსა და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ცნობები მიეთითება ყოველი სათაურის შემდეგ, რომელსაც ის ეხება და გამოიყოფა შესაბამისი ნიშნებით. ყველა სათაურისთვის საერთო ცნობები მიეთითება ბოლოში ყველა კერძო ცნობების შემდეგ, რომელთაც, თუ აუცილებელია, თან ახლავს განმარტებები; თუ ეს ძნელია, მაშინ საერთო ცნობები მიეთითება შენიშვნების სფეროში;
- ცნობები ხელმეორედ გამოცემის შესახებ, რომელიც ცალკეულ ნაწარმოებებს ეხება, მიეთითება სათაურის სფეროში ამ ნაწარმოების შესახებ სხვა ცნობების ბოლოს, რომელიც გამოიყ-

ოფა მძიმით (,). ცნობები, რომლებიც საერთოა ყველა ნაწარმოებისთვის, მიეთითება საგამომცემლო სფეროში და გამოიყოფა სათაურის სფეროსგან წერტილ – მძიმით (;).

სხვა ცნობები მიეთითება საერთო წესების შესაბამისად.

1. ძირითადი აღწერილობა

**არდადეგებზე** [ელექტრონული რესურსი]; მიხა / რეჟის. მერაბ კოკოჩაშვილი. - თბ. : ქართული ფილმი, 2005 : სანო სტუდია. - 1 DVD [99 წთ.] ; 12 სმ. - (მერაბ კოკოჩაშვილის ფილმები). - სათ. ეტიკეტიდან.

დამატებითი აღწერილობა მეორე ნაწარმოებზე

მიხა

**არდადეგებზე** [ელექტრონული რესურსი]; მიხა / რეჟის. მერაბ კოკოჩაშვილი. - თბ. : ქართული ფილმი, 2005 : სანო სტუდია. - 1 DVD [99 წთ.].

2. ძირითადი აღწერილობა

უაილდ ვესთის მხედრები [ელექტრონული რესურსი]; ვაჟკაცს კარგ უნდა ჰყვანდის ცხენიო; გურული ფირალები; ვინც მოვიდა, გაუმარჯოს / რეჟ.: ირაკლი მახარაძე; დიზაინი: ი. მახარაძე, კ. კაპანაძე .– თბ.: სანო სტუდია .– 1 DVD (102 წთ.); 12 სმ .– (ირაკლი მახარაძის ფილმები) .– სათ. ეტიკეტიდან.

დამატებითი აღწერილობები მეორე და შემდეგ ნაწარმოებებზე

ვაჟკაცს კარგ უნდა ჰყვანდის ცხენიო. უაილდ ვესთის მხედრები [ელექტრონული რესურსი]; ვაჟკაცს კარგ უნდა ჰყვანდის ცხენიო; გურული ფირალები; ვინც მოვიდა, გაუმარჯოს / რეჟ.: ირაკლი მახარაძე; დიზაინი: ი. მახარაძე, კ. კაპანაძე .– თბ.: სანო სტუდია .– 1 DVD (102 წთ.); 12 სმ .– (ირაკლი მახარაძის ფილმები) .– სათ. ეტიკეტიდან.

გურული ფირალები.

უაილდ ვესთის მხედრები [ელექტრონული რესურსი]; ვაჟკაცს კარგ უნდა ჰყვანდის ცხენიო; გურული ფირალები; ვინც მოვიდა, გაუმარჯოს / რეჟ.: ირაკლი მახარაძე; დიზაინი: ი. მახარაძე, კ. კაპანაძე .– თბ.: სანო სტუდია .– 1 DVD (102 წთ.); 12 სმ .– (ირაკლი მახარაძის ფილმები) .– სათ. ეტიკეტიდან.

ვინც მოვიდა, გაუმარჯოს.

უაილდ ვესთის მხედრები [ელექტრონული რესურსი]; ვაჟკაცს კარგ უნდა ჰყვანდის ცხენიო; გურული ფირალები; ვინც მოვიდა, გაუმარჯოს / რეჟ.: ირაკლი მახარაძე; დიზაინი: ი. მახარაძე, კ. კაპანაძე .– თბ.: სანო სტუდია .– 1 DVD (102 წთ.); 12 სმ .– (ირაკლი მახარაძის ფილმები) .– სათ. ეტიკეტიდან.

3. ძირითადი აღწერილობა

Противостояние [Электронный ресурс] ; Опаленный снег / DOKA Company.-Электрон. Дан. и прогр.- М. : DOKA, 1998.- 2 электрон. опт. диска (CD-ROM) + 1 бр. (27 см).- (Наши игры).- Систем. требования: от 486 DX2 ; 66 МГц ; видеоплата 1 Мб (VESA); зв. плата SB–совместимая; DOS 6.2 или выше; Windows 95.- Загл. с этикеток дисков.- № гос. регистраций 0329800240, 1000 экз.

დამატებითი აღწერილობა მეორე ნაწარმოებზე

Опаленный снег.

Противостояние [Электронный ресурс] ; Опаленный снег / DOKA Company.- Электрон. Дан. и прогр.- М. : DOKA, 1998.- 2 электрон. опт. диска (CD-ROM).

4. ძირითადი აღწერილობა

Английский для бизнесменов [Электронный ресурс] ; нглийский технический ; Английский для чтения газет и журналов : [к сб. В целом]: курс изучения иностр. яз. Intell. – Электрон. дан. и прогр.- М.: сор. Квант, 1994-1997.- 1 электрон. опт. диск (CD-ROM) : зв., цв.- (25 кадр).- Систем. требования: IBM PC AT 386; 4 Мб ОЗУ ; MS Windows 3.1 и выше; 2-скоростной CD-ROM; VGA- видеокарта (или выше); зв. карта; мышь.- Загл. с этикетки диска.

დამატებითი აღწერილობა მეორე და მესამე ნაწარმოებზე

Английский технический.

Английский для бизнесменов [Электронный ресурс] ; Английский технический ; Английский для чтения газет и журналов : [к сб. В целом]: курс изучения иностр. яз. Intell. – Электрон. дан. и прогр.- М.: сор. Квант, 1994-1997.- 1 электрон. опт. диск (CD-ROM).

Английский для чтения газет и журналов.

Английский для бизнесменов [Электронный ресурс] ; нглийский технический ; Английский для чтения газет и журналов : [к сб. В целом]: курс изучения иностр. яз. Intell. – Электрон. дан. и прогр.- М.: сор. Квант, 1994-1997.- 1 электрон. опт. диск (CD-ROM).

**დანართი 2. რამდენიმე ნაწილისგან (გამოშვებისგან) შემდგარი ელექტრონული რესურსების შეერთებული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა**

ელექტრონულ რესურსზე, რომელიც რამდენიმე ნაწილისგან შედგება და საერთო სათაური გააჩნია, შეიძლება შედგეს ერთდონიანი აღწერილობა ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ – ერთი ვარიანტის მიხედვით:

1. ძირითად სათაურად შეირჩევა ცალკეული ნაწილის სათაური, საერთო სათაური კი მიეთითება სერიის სფეროში;
2. ძირითად სათაურად შეირჩევა საერთო სათაურისა და ცალკეული ნაწილის შერწყმული სათაური;
3. ძირითად სათაურად შეირჩევა ნაწილების საერთო სათაური, ცალკეული ნაწილის სათაურები მიეთითება შინაარსში.

ელექტრონულ რესურსზე, რომელიც რამდენიმე ნაწილისგან შედგება, შეიძლება შედგეს მრავალდონიანი შეერთებული აღწერილობა, როდესაც პირველ დონეზე ძირითად სათაურად მიეთითება რესურსის საერთო სათაური, რომლის შემდეგ ათავსებენ მთელი ელექტრონული რესურსისათვის საერთო სხვა ცნობებს. თუ რესურსის ნაწილები კიდევ აგრძელებს გამოსვლას, მიუთითებენ პირველი ნაწილის გამოსვლის წელს, რომლის შემდეგ ისმება დეფისი (–). დანარჩენი ელემენტები მიეთითება საერთო წესების შესაბამისად.

მეორე დონეზე მიეთითება ინფორმაცია ყოველი ცალკეული ნაწილის შესახებ. ნაწილების აღნიშვნისა და ნომრის შემდეგ ისმება ორწერტილი (:), რომლის შემდეგ მიეთითება კონკრეტული ნაწილის ძირითადი სათაური. დანარჩენი ელემენტები მიეთითება საერთო წესების შესაბამისად.

გამსახურდია, კონსტანტინე

მთვარის მოტაცება [ელექტრონული რესურსი] / კონსტანტინე გამსახურდია ; აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუ – მუნჯთა კავშირი „ჰერა“. – 2009 ; 12 სმ.

ნაწ. 1. – ჰერა, 2009.– 1 კომპაქტ – დისკი (CD-ROM)
ნაწ. 2. – ჰერა, 2009.– 1 კომპაქტ – დისკი (CD-ROM)

**შინაგანი სნეულებანი** [ელექტრონული რესურსი] / მთ. რედაქტ.: ნოდარ ემუხვარი, დინარა კასრაძე. - თბ. : მთაწმინდელი, 2008. - ; 12 სმ.

**ტომი I** : გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები. სასუნთქი ორგანოების დაავადებები. თირკმლის დაავადებები . - 2008. - 1 კომპაქტ-დისკი (CD-ROM). - სათ. ეტიკეტიდან. - კომპაქტ - დისკი ახლავს წიგნს: შინაგანი სნეულებანი.

Большая автомобильная энциклопедия [Электронный ресурс].– Электрон. Дан.- М.: Xelana Medis Group, 1998-

Систам. требования: Pentium 90 МГц ; RAM 8 Мб ; Windows 95 ; SVGA High Color; CD-drive 8x.- Загл. с контеинера.

Ч. 1 : Элитные автомобили мира.- 1 электрон. опт. диск (CD-ROM).- № гос. регистрации 0329800025, 3000 экз.

Ч. 2 : Рожденные побеждать.- 1 электрон. опт. диск (CD-ROM) + прил. (2 с.).- № гос. регистрации 0329800026, 3000 экз.

Ч. 3 : Суперкары и прототипы.- 1 электрон. опт. диск (CD-ROM) + прил. (2 с.).- № гос. регистрации 0329800027, 3000 экз.

დანართი 3. ელექტრონული რესურსების შემადგენელი ნაწილებ-ის ბიბლიოგრაფიული აღწერილობა

ელექტრონული რესურსის შემადგენელი ნაწილი (ცალკეული ნაწარმოები, თავი, განყოფილება, პარაგრაფი და ა. შ.) შეიძლება აისახოს მთელი ელექტრონული რესურსის ერთდონიან აღწერილობაში შინაარსის სახით.

ელექტრონული რესურსის შემადგენელ ნაწილზე შეიძლება შედგეს მრავალდონიანი აღწერილობა (ანალიტიკური), როდესაც პირველ დონეზე ძირითად სათაურად მითითებულია შემადგენელი ნაწილის სათაური, მის შემდეგ კი სხვა ელემენტები, რომლებიც დოკუმენტის შემადგენელი ნაწილების შესახებ ინფორმაციას შეიცავენ.

მეორე დონეზე, აბზაცით ან ორი დახრილი ხაზის (//) შემდეგ მიეთითება ცნობები მთელი ელექტრონული რესურსის შესახებ (საერთო წესებით).

ძირითადი აღწერილობა

მაჭავარიანი, ალექსი

სუიტა ბალეტიდან „ოტელო“ [ელექტრონული რესურსი]; სუიტა ბალეტიდან „ვეფხისტყაოსანი“ = Suite from ballet „Otello‘. Suite from ballet „The knight in the tiger skin‘ / ალექსი მაჭავარიანი; დირიჟ.: ვახტანგ მაჭავარიანი; პეტერბურგის მარიის თეატრის სიმფონიური

ორკესტრი ; სსრკ კულტურის სამინისტროს სიმფონიური ორკესტრი. - [თბ.] : სანო სტუდია, [2008]. - 2 კომპაქტ - დისკი (CD-ROM) ; 12 სმ. - პარალ. სათ. ქართ., ინგ. ენ. - სათ. ეტიკეტიდან. - კომპაქტ - დისკი ახლავს წიგნს: მაჭავარიანი, ალექსი „ შემოქმედი და დრო“.

შემადგენელი ნაწილის აღწერილობა

სუიტა ბალეტიდან „ვეფხისტყაოსანი“ // სუიტა ბალეტიდან „ოტელო“ [ელექტრონული რესურსი]; სუიტა ბალეტიდან „ვეფხისტყაოსანი“ = Suite from ballet „Otello”. Suite from ballet „The knight in the tiger skin” / ალექსი მაჭავარიანი; დირიჟ.: ვახტანგ მაჭავარიანი; პეტერბურგის მარიის თეატრის სიმფონიური ორკესტრი ; სსრკ კულტურის სამინისტროს სიმფონიური ორკესტრი. - [თბ.] : სანო სტუდია, [2008]. - 2 კომპაქტ - დისკი (CD-ROM) ; 12 სმ. - პარალ. სათ. ქართ., ინგ. ენ. - სათ. ეტიკეტიდან. - კომპაქტ - დისკი ახლავს წიგნს: მაჭავარიანი, ალექსი „ შემოქმედი და დრო“.

Опаленный снег // Противостояние [Электронный ресурс] ; Опаленный снег / DOKA Company.- Электрон. Дан. и прогр.- М. : DOKA, 1998.- 2 электрон. опт. диска (CD-ROM) + 1 бр. (27 см).- (Наши игры).- Систем. требования: от 486 DX2 ; 66 МГц ; видеоплата 1 Мб (VESA), зв. плата SB–совместимая, DOS 6.2 или выше, Windows 95.- Загл. с этикеток дисков.- № гос. регистраций 0329800240, 1000 экз.

## დანართი 4. ელექტრონული რესურსების ბიბლიოგრაფიული აღწერილობის მაგალითები

### 1. ლოკალური რესურსებისათვის

**ავტორიანი**

მუსხელიშვილი, დავით

**საქართველოს ისტორიის ატლასი** [electronic resource] / საქ. მეც. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. და ეთნოლოგიის ინსტიტუტი .- computer disk ; 3 S In . - System requirements: IBM PC.

ბლიაძე, მაკა

**მეფის ასული ფერების ქვეყნიდან** [აუდიოჩანაწერი] : [ზღაპარი] / მაკა ბლიაძე ; ზღაპარს კითხულობენ მსახიობები: ნინელი ჭანკვეტაძე, ოთარ კოვზირიძე, ლელა თელია და პატარა ანა გურგენიძე ; მხატვ. ანზორ ჩხაიძე ; ფოტო ირა აბუანდაძე ; დიზაინი გ. გურგენიძე. - თბ. : სანო სტუდია, 2006. - 1 კომპაქტ-დისკი (CD-ROM) ; 12 სმ., კონტეინერში. - სათ. ეტიკეტიდან.

Даль, Вл.

Тольковый словарь живого великорусского языка [Электронный ресурс] : Подгот. по 2-му печ. изд. 1880-1882 гг.- Электрон. дан.- М.: АСТ [и др.], 1998.- 1 электрон. опт. диск (CD-ROM); 12 см + рук. пользователя (8 с.).- (Электронная Книга).- Систем. требования: IBM PC с процессором 486; ОЗУ 8 Мб; операц. Система Windows (3х, 95, NT) ; CD-ROM дисковод ; мышь.- Загл. с экрана.

Цветков, В.

Компьютерная графика: рабочая программа [Электронный ресурс] : для студентов заоч. формы обучения геодез. и др. специальностей / В. Я. Цвет-Ков.- Электрон. Дан. и прогр.- М. : МИИГАИК, 1999.- 1 дискета.- Систем. требования: IBM PC, Windows 95, Word 6.0.- Загл. с экрана.- № гос. регистраций 0329900020.

## სათაურზე

**თანამედროვე ფინანსური ლექსიკონი** [ელექტრონული რესურ-სი] : ნორმატიული აქტების კრებული არასამთავრობო ორგანიზა-ციებისათვის. - თბილისი, 2003. - computer disk ; 3 1/2 in - System requirements: IBM PC.

**საქართველოს ისტორია VIII კლასი** [ელექტრონული რესურსი]. - თბ. : „განათლება და ახალი ტექნოლოგიები", 2008. - 1 ცომპუტერ ოპტიცალ დისკ (CD-ROM) ; 12cm. - (საქართველოს ისტორიის ელექტრონული გაკვეთილები. უძველესი დროიდან დღევანდელ დღემდე). - მინიმალური სისტემური მოთხოვნები: PC: PII-266 or better; 32 MB RAM or more; Video: 800x600 necessary; CD-ROM: 24x or faster (40 or more recommended); OS: Windows 98/2000/XP.

Атлас-98 [Электронный ресурс] : 3D : атлас мира.- Электрон. Дан. и прогр.- [Б. М.], 1998.- 1 электрон. опт. диск (CD-ROM): зв., цв.; 12 см.- (абс) (Вес мир в 3D).- Систем. требования: PC 486 DX-33; 8 Мб RAM; 15 Мб HDD; Windows 3.1 или Windows 95; 2-скоростной дисковод; 256 цв. SVGA дисплей; зв. карта; мышь.- Загл. с крнтейнера.

Библиография по социальным и гуманитарным наукам, 1993-1995 [Электронный ресурс] / Ин-т науч. информ. по обществ. наукам (ИНИОН).- Электрон. дан. и прогр. (33 файла: 259658539 байт).- М., [1995].- 1 электрон. опт. диск (CD-ROM); 12 см.- Систем. требования: ИПС «IRBIS» 500 Кб ; DOS 3.3 и выше.- Загл. с вкладыша контейнера.- Содерж.: 1. Библиогр.: 241280 записей. 2. Рубрикатор ИНИОН: 4901 записей.

## დაშორებული ხელმისაწვდომობის რესურსები

ლილუაშვილი, ევგენია

ქართული კულტურა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918–1921 წლებში [ელექტრონული რესურსი] / დისერტაცია მეცნ. კანდ. 24.00.02 / სამეცნ. ხელმძღ.: ქ. პავლიაშვილი; თსუ., 2006.- ხელმისაწვდომობის რეჟიმი: http://www.nplg.gov.ge/dlibrary/coll/0002/page-8

ელიზბარაშვილი, ელიზბარ

ნიცშე და საქართველო. რეალური ისტორია [ელექტრონული რესური] : [ეროვნულ ბიბლიოთეკაში წაკითხული ლექცია]; თბილისი, 18 მაისი, 2007.- ხელმისაწვდომობის რეჟიმი: http://www.nplg.gov.ge/index.php?lang_id=GEO&Sec_id=219&info_id=1160

Российская государственная библиотека [Электронный ресурс]/ Центр информ. технологий РГБ ; ред. Власенко Т. В. ; Web-мастер Козлова Н. В.- Электрон. дан.- М. : Рос. Гос. б-ка, 1997.- Режим доступа: http://www.rsl.ru, свободный.- Загл. с экрана.- Яз. Рус., англ.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. ГОСТ 7. 82 – 2001 Библиографическая запись. Библиографическое описание электронных ресурсов. Общие требования и правила составления. Режим доступа : http://www.Library.ru/1/kb/standart

2. CD-ROM - ებზე არსებული ელექტრონული რესურსების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა / შემდგ.: ა. ჩხენკელი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.– 2002. ტექსტის ელექტრონული ვერსია იხ.: http://www.nplg.gov.ge/dlibrary/

შინაარსი


შესავალი 3

1. ზოგადი დებულებანი 4

ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ობიექტები 4

აღწერილობის სტრუქტურა და შედგენილობა 4

ინფორმაციის წყაროები 5

აღწერილობის ენა 6

პუნქტუაცია 6

შემოკლებები. ბეჭდვითი შეცდომები 7

2. ელექტრონული რესურსის აღწერილობის სფეროები და ელემენტები 7

ელექტრონული რესურსის აღწერილობის სქემა 7

სათაურისა და პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების სფერო 9

გამოცემის სფერო 13

რესურსის სახისა და მოცულობის სფერო 14

საგამომცემლო ცნობების სფერო 16

ფიზიკური დახასიათების სფერო 19

სერიის სფერო 21

შენიშვნების სფერო 23

სტანდარტული ნომრის (ან მისი ალტერნატივის) სფერო და ხელმისაწვდომობის პირობები 28

დანართი 1. საერთო სათაურის გარეშე არსებული ელექტრონული რესურსების კრებულების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა 28

დანართი 2. რამდენიმე ნაწილისგან (გამოშვებისგან) შემდგარი ელექტრონული რესურსების შეერთებული ბიბლიოგრაფიულ აღწერილობა 31

დანართი 3. ელექტრონული რესურსების შემადგენელი ნაწილების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა 32

დანართი 4. ელექტრონული რესურსების ბიბლიოგრაფიული აღწერილობის მაგალითები 33